ხობის მოამბე

№6 (7181)
1 მაისი,
ოთხშაბათი, 2024 წელი
გაზეთი გამოდის 1932 წლის 12 ივლისიდან
ფასი 0.70 ლარი.

„თვითმმართველობა ოკეთესი ნაძალიძ ხალხის ყოველვეცრის სეჭირეოენისა. სეკა ოენდა დერგეთ, იგი ყოველგაა ხეირონს... ყოველი სეხელძნიგო, ორიგინს ნეს ხედ კოლეთ თო ბერეობდ დაძდგეთი, ნაბილ-ნაბილიდ ბრის დაყოგილი, ოთ ძოლიბ და აეგრონობ ადვილი იყოს.”
ი. ჭეჭეიეძე

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

ჯილოცავთ!



5 მაისი — ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

„საქართველოს მოდი ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს“

„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლა–საყოველთაო სახალხო შეკრებაზე 29-04/2024

მოგესალმებით ძვირფასო მეგობრებო! მივესალმები ჩვენი თავისუფლებისმოყვარე ერის ღირსეულ შვილებს! მინდა, ყველას მოგილოცოთ ბზობა და წინასწარ მოგილოცოთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული!

საქართველომ 33 წლის წინ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. თუმცა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მერაბ კოსტავა გვაფრთხილებდა: „დაიმახსოვრეთ, თქვენ მოესწრებით იმ დროს, როცა საქართველო თავისუფალი გახდება! მაგრამ იცოდეთ, თუ მაშინაც, დამოუკიდებელ ქვეყანაში, თავისუფლებისთვის შეწყვეტთ ბრძოლას, ამ თავისუფლებას დაკარგავთ თქვენც და ქვეყანაც“. მერაბ კოსტავას ეს შეგონება თითოეულ ფეხის ნაბიჯზე კარგად უნდა გვახსოვდეს.

საქართველო უნდა მართოს ქართველი ხალხის მიერ არჩეულმა ხელისუფლებამ!

2004-2012 წლებში ჩვენ გამოვიარეთ უმძიმესი წლები, როდესაც ქვეყანას არა ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, არამედ გარედან დანიშნული რევოლუციური კომიტეტი, უცხოური აგენტურა მართავდა. შეგახსენებთ, რომ ეს ადამიანები–სააკაშვილი, ბოკერია, მერაბიშვილი, ადეიშვილი, გვარამია, კეზერაშვილი და სხვები–საქართველოს ხელისუფლების ლიდერებად „ენჯეოების“ ხელით მოწყობილი რევოლუციის შემდეგ დაინიშნენ.

არადემოკრატიული წესით, გარედან დანიშნული ადამიანების მმართველობამ მკაფიოდ დაგვანახა, თუ რამდენად მძიმეა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაკარგვის გარდაუვალი შედეგი. სისხლიანმა რეჟიმმა გადაავსო ციხეები, აწამა პატიმრები, შეიწირა ასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე, დააყაჩაღა ათასობით ბიზნესმენი, გააყალბა არაერთი არჩევნები, მიიტაცა მედია, დაკარგა საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი.

ბევრს ჰგონია, რომ ამ დანაშაულების მთავარი მიზეზი სააკაშვილის და მისი თანამზრახველების არაჰუმანური, სადისტური და არაპატრიოტული ბუნება იყო. თუმცა, სინამდვილეში, ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებდნენ, გარედან, მათი პატრონებისგან იყო დაკვეთილი და მართული. სწორედ ამიტომ იყო, რომ რეჟიმს ჰქონდა მწვანე შუქი ყოველგვარ უმსგავსობაზე იმ უცხოელი პოლიტიკოსებისგან, რომლებიც დღეს სააკაშვილს, გვარამიას და კეზერაშვილს უმანკოკრავებად გვიცხადებენ და არსებული ხელისუფლების დასჯას ითხოვენ. ამ უცხოელებს დღეს ამოძრავებთ სურვილი, საქართველოში იმავე ადამიანების არაჰუმანური და სადისტური დიქტატურა დაგვიბრუნონ, რასაც არაფრის ფასად არ დავუშვებთ. როდესაც მწვანე შუქზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ რეჟიმის სადიზმი „ენჯეოებისგანაც“ სრული მხარდაჭერით სარგებლობდა.

მინდა, გავიხსენო ინდოელი ლიდერის, ჯავაჰარლალ ნერუს სიტყვები მცირე ადაპტირებით: „არ არსებობს საკუთარი ქვეყნის იმაზე დიდი მტერი, ვიდრე უცხო ქვეყნის მიერ აღზრდილი ფსევდოელიტა“. უცხო ქვეყნის მიერ აღზრდილ ფსევდოელიტას რამდენიმე მთავარი თვისება გამოარჩევს. ის არის უსამშობლო, არ უყვარს არც საკუთარი ქვეყანა და არც საკუთარი ხალხი, რადგან მას სინამდვილეში საკუთრად არ მიიჩნევს. პირიქით, ასეთ ადამიანებს საკუთარი ქვეყანაც და ხალხიც ეთაკილებათ. ასეთი ადამიანი არის აკაკისეული „ღამურა“, რომელიც, საბოლოოდ, ვერც უცხოელდება და ქართველობასაც კარგავს. ასეთი ადამიანები იოლად ექვემდებარებიან გარედან მართვას, რადგან ისინი ყოველგვარი პრინციპებისგან არიან დაცლილი. სწორედ ასეთია დღევანდელი რადიკალური ოპოზიციის სახე და ასეთი იყო ამ ადამიანების სახე ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდშიც.

როდესაც 2012 წელს გარედან დანიშნული უსამშობლო პოლიტიკოსების სისხლიანი რეჟიმი გავისტუმრეთ, ვფიქრობდი, რომ ჩემი მისია სრულად მქონდა შესრულებული. ქართველ ხალხს დავუბრუნეთ საარჩევნო უფლება, ციხიდან გავათავისუფლეთ 15 ათასი პატიმარი, სრულად აღვკვეთეთ პატიმრების წამება და არაადამიანური მოპყრობა, დავასრულეთ „ნაციონალური მოძრაობის“ მედიამონოპოლია, გავათავისუფლეთ ბიზნესი, ქვეყანას მოვუტანეთ გრძელვადიანი მშვიდობა და გაძლიერებული უსაფრთხოება.

3

9 მაისი—დიდების და გამარჯვების დღე!

გამარჯვების 79-ე წელი, 9 მაისი, ზეიმის, მსოფლიო ხალხთა მშვიდობიანი ეპოქის დასაწყისი. 9 მაისი–ხალხთა ერთიანობის, გამარჯვების დღე...

9 მაისი, გმირების უკვდავების დღე. მარადიული ხსოვნის თვე და რიცხვი.

დიახ, სწორედ 9 მაისს საბოლოოდ დაიმსხვრა მითი ფაშიზმის უძლეველობისა.

დღეს სამწუხაროდ, თითო-ოროლა შემორჩნენ ომგადახდილები, გმირები, პატივდებული, მოსაფერებელი, სათნო და სანდომიანი „მარად ჭაბუკები“.

უფროს თაობას ახსოვს 9 მაისს სოფელ ხეთაში, შინმოუსვლელთა ხეივანში მათი სიმრავლე... ომგადახდილები, როგორ ამაყად, ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებულნი ზეიმობდნენ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს. ტკივილით, სიამაყით იხსენებდნენ ფრონტზე ბრძოლის ეპიზოდებს... რაოდენ სამწუხაროა, რომ დღეს ჩვენს მუნიციპალიტეტში ამ დიდებით სავსე ზეიმს არც ერთი მათგანი ვერ დაამშვენებს, არც ერთი ომგადახდილი ცოცხალი არ არის. ეს დღე თქვენს სახელებთან ასოცირდება და სასიამოვნოა, რომ არსებობდით...

ძნელია ყველა მათგანის სახელ-გვარების ჩამოთვლა, მაგრამ არ შემიძლია ზოგიერთი მათგანი არ გამოვყო: ალიოშა ცხადაია, იონა ლიპარტია, ჟორჟი გერგაია, კაპიტონ ჩოკორაია, ქალბატონები შუშანა ლორჩოშვილი, ზინა შუშანია, ლენა გერგაია, ალექსანდრე აბრამია და სხვა მრავალი და მრავალი!

დიდება მათ სულებს, გმირებს დავიწყება არ უწერიათ!

ბეჭან ნადარაია

ფოტოები ირაკლი შონიას არქივიდან

„საქართველოს მედი ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს“

„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის სიტყვით
გამოსვლა–საყოველთაო სახალხო შეკრებაზე 29-04/2024

1

კიდევ ერთხელ გავიმეორებ–ვფიქრობდი, რომ 2012 წელს ჩემი მისია სრულად შევასრულე. თუმცა, როგორც გაირკვა, ეს მიღწევები არ აღმოჩნდა საკმარისი. ჩვენ კვლავაც გვიწევს ბრძოლა თავისუფლებისა და სუვერენიტეტისთვის, რათა ავასრულოთ ილია ჭავჭავაძის შეგონება, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს“. ამიტომ, პრინციპულად და თავდადებით, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, პირადად მე განვაგრძობ ბრძოლას საქართველოს, ჩვენი სამშობლოს სუვერენიტეტის სრულად აღსადგენად.

2022 წლის დასაწყისიდან დღემდე საქართველომ გადაიტანა ურთულესი ბრძოლა ომის თავიდან ასაცილებლად და მშვიდობის შესანარჩუნებლად. ბუქარესტის 2008 წლის სამიტის დაპირების მიუხედავად, საქართველო და უკრაინა არ გააწევრიანეს ნატო-ში და ორპირ ქარში დააყენეს. ყველა ასეთ გადაწყვეტილებას გლობალური ომის პარტია იღებს, რომელიც ნატო-ზეც და ევროკავშირზეც გადამწყვეტი გავლენით სარგებლობს და რომლისთვისაც საქართველოსაც და უკრაინასაც მხოლოდ საზარბაზნე ხორცის ფასი აქვს. მათ ჯერ 2008 წელს საქართველო დაუპირისპირეს რუსეთთან, ხოლო 2014 და 2022 წლებში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში უკრაინა ჩააყენეს. საქართველოს მიმართ გლობალური ომის პარტიის აგრესიის მთავარი მიზეზი ისაა, რომ, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, საქართველო მეორე ფრონტად ვერ აქცია, რასაც ხელისუფლებაში აგენტურის დაბრუნების პირობებში ძალიან მარტივად მიაღწევდა.

საზოგადოებაში ხშირად კითხულობენ: მაინც რატომ იბრძვიან უცხოეთიდან ასეთი გამალებით „ენჯეოების“ გამჭვირვალობის წინააღმდეგ? ჩვენი გუნდის წარმომადგენლები ამ შეკითხვას სწორი მიმართულებით პასუხობენ, თუმცა სრული სიმართლის თქმას ისინი მაინც ერიდებიან. სრული სიმართლე კი ისაა, რომ „ენჯეოების“ გაუმჭვირვალე დაფინანსება არის მთავარი ინსტრუმენტი, რომლითაც საქართველოს ხელისუფლება გარედან შეგიძლია დანიშნო. მიზანია, საქართველო არა ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების, არამედ გარედან დანიშნული „ღამურების“–ახალი დროის სერგო ორჯონიკიძეებისა და გიგლა ბერიჭაშვილების ხელით იმართებოდეს. ამის არდაშვება არის ჩვენი ვალი საქართველოს თავისუფლების იდეას შეწირული ქართველი მოღვაწეების წინაშე.

„ენჯეოების“ დაფინანსება, რომელსაც უცხოეთიდან ხშირად გვამადლიან და დახმარებაში გვითვლიან, სინამდვილეში, თითქმის მთლიანად აგენტურის გამაგრებასა და ხელისუფლებაში მათ მოყვანას ხმარდება. შესაბამისად, ამ თანხებს არავითარი საერთო არა აქვს დახმარებასთან და პირიქით, ერთადერთ მიზნად საქართველოსთვის სახელმწიფო სუვერენიტეტის წართმევას ისახავს.

დღევანდელი საქართველო არ არის არც შევარდნაძის დროინდელი საქართველო და არც იანუკოვიჩის უკრაინა. დღეს საქართველოს მართავს ძლიერი და ერთ მუშტად შეკრული პროფესიონალთა გუნდი, რომელმაც იცის სამშობლოს, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის ფასი. შესაბამისად, ურეიტინგო „ნაციონალებისა“ და „ენჯეოების“ ხელით ხელისუფლების შეცვლა დღევანდელ საქართველოში შეუძლებელია. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სიფხიზლე უნდა დავკარგოთ და საქართველოს სუვერენიტეტისთვის გრძელვადიანი გარანტიის შექმნაზე არ უნდა ვიზრუნოთ. სწორედ საქართველოს სუვერენიტეტის გამყარებას ემსახურება ქართული კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“.

შეიძლება, დაისვას კითხვა: რატომ გაიწვია გუნდმა კანონი შარშან და რატომ ვიღებთ მას წელს? შარშან კანონის გაწვევას ორი მთავარი ობიექტური მიზეზი ჰქონდა. პირველი, შარშან შეძლეს და საზოგადოების დიდი ნაწილი შეცდომაში შეიყვანეს. შესაბამისად, ჩვენი ვალი იყო, თუნდაც მოტყუებული თანამოქალაქეების შფოთვა გაგვეთვალისწინებინა; მეორე, ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მდგრადობას, რასაც კანონის არგაწვევის შემთხვევაში, შარშან სირთულეები შეიძლებოდა შექმნოდა.

წელს ვითარება რადიკალურად განსხვავებულია. „ნაციონალებმა“ და მათმა პატრონებმა ხალხი ვეღარ მოატყუეს და დღეს საზოგადოების უდიდესი ნაწილი „ენჯეოების“ გამჭვირვალობას მყარად უჭერს მხარს. გარდა ამისა, დღეს გვაქვს სრული რესურსი გამჭვირვალობის შესახებ კანონი სახელმწიფოს მდგრადობისთვის ზიანის მიყენების გარეშე მივიღოთ და ქვეყანა წინ წავიყვანოთ. სწორ დროს სწორი სვლის გაკეთება პოლიტიკის მთავარი ხელოვნებაა. ჩემი პოლიტიკური წარსული მაძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ, როგორც პოლიტიკურ ლიდერს, ამგვარი სვლების გათვლა კარგად შემიძლია.

ასევე, საზოგადოებაში ისმის ხოლმე კითხვა: ხომ არ ჯობდა დროებითი სიმშვიდით მაქსიმალურად გვესარგებლა და ლგბტ პროპაგანდისა და „ენჯეოების“ შესახებ კანონპროექტების განხილვის დაწყებით თავი ზედმეტად არ აგვეტკიებინა და თუნდაც არჩევნების შემდეგ დაგვეწყო მისი განხილვა? ამასთან დაკავშირებით, მინდა, მკაფიოდ გითხრათ: ნურავის ექნება ილუზია, რომ ამ კანონპროექტების გარეშე დიდხანს მოგვასვენებდნენ. შეგახსენებთ, თუ როგორი გამალებით ცდილობდნენ მთელი ამ დროის განმავლობაში ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სასამართლოს შერყევას. სასამართლოში დღემდე ითხოვენ ეგრეთწოდებულ ვეტინგს, ანუ უცხოური მმართველობის შემოღებას, რომელმაც რეპრესიები უნდა ჩაატაროს და სასამართლო სისტემა აგენტურით უნდა დააკომპლექტოს. მსგავს მიზანს ემსახურებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან დაკავშირებული მოთხოვნებიც, რომლებიც საქართველოს პარლამენტმა სამართლიანად არ გაითვალისწინა.

მიუხედავად იმისა, რომ, ყველა დამოუკიდებელი საერთაშორისო კვლევის თანახმად, ქართული სასამართლო სამართლიანობისა და ეფექტიანობის კრიტერიუმებით ევროკავშირის არაერთი წევრი ქვეყნის სასამართლოსაც კი უსწრებს, მიუხედავად იმისა, რომ ვერ ასახელებენ ვერცერთ საქმეს, რომელიც სასამართლომ პოლიტიკური ხელისუფლების ზეწოლით ან, ზოგადად, უსამართლოდ გადაწყვიტა, გრძელდება დაჟინებული ზეწოლა ხელისუფლებაზე სასამართლოს ხელში ჩასაგდებად, რომელიც იქამდე გაგრძელდება, ვიდრე წარმატების იმედს ბოლომდე არ დაკარგავენ.

როდესაც ისეთ მოთხოვნებს აყენებენ, რომლებზეც წინასწარ იციან, რომ ხელისუფლება მათ არ გაითვალისწინებს, ცხადია, რომ ამ მოთხოვნების ერთადერთი მიზანი ხელისუფლებისთვის ხელოვნური უხერხულობის შექმნაა. ასეთ პირობებში, ცხადია, რომ იგივე ძალები, რომლებიც ორი და ოთხი წლის წინ რევოლუციებს გვიწყობდნენ, შემოდგომაზე ჩვენს ქვეყანას აუცილებლად ახალი ძალით შეუტევდნენ და ხელისუფლებაში აგენტურის დაბრუნებას კიდევ ერთხელ შეეცდებოდნენ. ენერგიას, რომელიც შემოდგომისთვის უნდა დაეგროვებინათ, ახლა ისინი ქუჩაში ნაადრევად ანიავებენ.

ამიტომ, ლგბტ პროპაგანდისა და „ენჯეოების“ შესახებ კანონების ინიცირებას ორმაგი სარგებელი ჰქონდა: ერთი მხრივ, ამ ორი საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგებას ალტერნატივა არ აქვს და, მეორე მხრივ, დასაგროვებელი ენერგიის ნაადრევი ხარჯვა ისედაც დასუსტებულ აგენტურას ძალას ბოლომდე გამოაცლის. შესაბამისად, კანონპროექტების ინიცირებისთვის დროც იდეალურად არის შერჩეული. ამ პროცესებით ქვეყანას და ხელისუფლებას არაფერი დაგვაკლდება, გარდა იმისა, რომ გლობალურ ომის პარტიას კიდევ ერთხელ გავანაწყენებთ, რომელსაც მეორე ფრონტის არგახსნის გამო ჩვენ მიმართ წყენა ისედაც არ აკლია.

ბევრი ჩვენი თანამოქალაქე განაწყენებულია იმის გამო, რომ 2012 წელს „ნაციონალები“ სათანადოდ არ დავსჯეთ. რეჟიმის არაერთმა ლიდერმა მრავალწლიანი სასჯელი მოიხადა. გასამართლდა რეჟიმის დანაშაულებრივი დავალებების მრავალი შემსრულებელი. ამჟამად სასჯელს იხდის რეჟიმის მთავარი დამნაშავე, მიხეილ სააკაშვილი. თუმცა, სამწუხაროდ, არ მომხდარა „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ერთიანი დანაშაულებრივი და მოღალატეობრივი დაჯგუფების გასამართლება.

საქმეში უშუალოდ ჩახედული ადამიანები დამეთანხმებიან, რომ მაშინ „ნაციონალების“ დასჯის არავითარი რესურსი არ გვქონდა, ურესურსოდ ნაბიჯების გადადგმა კი მხოლოდ კონტრპროდუქტიული იქნებოდა. კარგად მახსოვს, 2012-13 წლებში კბილებით როგორ იცავდნენ სისხლიან დამნაშავეებს დასავლელი უმაღლესი თანამდებობის პირები. „ნაცმოძრაობა“ ზუსტად ისევე დაუნიშნეს საქართველოს გარედან რადიკალურ ოპოზიციად, როგორც მანამდე ხელისუფლებად დაგვინიშნეს. რადიკალიზმი, ე.წ. პოლარიზაცია და პერიოდული პოლიტიკური რყევები, რაც ჩვენს ქვეყანას და მის ეკონომიკას მთელი ამ წლების მანძილზე საკმაოდ ძვირი დაუჯდა, მთლიანად გარედან იყო ხელოვნურად თავს მოხვეული. რომ არა გარე მხარდაჭერა, საქართველო ეგრეთწოდებული პოლარიზაციის ჩაკეტილ წრეს უმოკლეს ვადებში გაარღვევდა.

ყველამ იხილეთ ევროპარლამენტის მიერ რამდენიმე დღის წინ მიღებული რეზოლუცია, სადაც ევროპელი პოლიტიკოსები „ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე ლიდერებს კიდევ ერთხელ გამოექომაგნენ. ამ შემთხვევაშიც

გლობალურმა ომის პარტიამ ევროპარლამენტი აიძულა, სრულიად არაევროპული რეზოლუციისთვის დაეჭირა მხარი. ამ ყველაფერს ორი მიზანი ჰქონდა: ერთი მხრივ, საქართველოს საქმეებში კიდევ ერთხელ უხეშად ჩარევა სცადეს და, მეორე მხრივ, ყველას კიდევ ერთხელ აჩვენეს, რომ ევროპარლამენტი მათ ერთ-ერთ მორიგ ინსტრუმენტად არის ქცეული, რომელსაც ნებისმიერ დროს, როგორც უნდათ, ისე გამოიყენებენ. ამ სრულიად არაევროპული რეზოლუციის დამტკიცებით კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ რამხელა გავლენა აქვს გლობალურ ომის პარტიას ევროკავშირზე. გლობალური ომის პარტია ევროკავშირს საკუთარი ხელით ანგრევინებს ევროპულ ღირებულებებს, რაც, ზოგადად, მისი ჩვეული ხელწერაა. ზუსტად ასევე ანგრევდნენ ისინი საქართველოს 2004-2012 წლებში ხელისუფლებაში მყოფი ქართველების ხელით.

საქართველოს ბედი ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. ამ წლების განმავლობაში ჩვენ დავაგროვეთ საკმარისი რესურსი, რომ სუვერენიტეტის სრულად განმტკიცება დავიწყოთ. სწორედ ამას ემსახურება კანონიც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“. არჩევნების შემდეგ კი ჩვენ გვექნება იმის საშუალება, რომ კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას“ გამოვუტანოთ მკაცრი პოლიტიკური და სამართლებრივი განაჩენი, რომელსაც ის 9-წლიანი სისხლიანი მმართველობისა და 12-წლიანი „მაოხრებელი გზირობისთვის“ იმსახურებს.

არჩევნების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა“ მკაცრად აგებს პასუხს ყველა იმ დანაშაულისთვის, რომელიც მან 2 ათწლეულის მანძილზე ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინა!

ჯერ კიდევ 2014 წელს დავაფუძნე „საზოგადოება 2030“. მაშინ ევროკავშირის წევრობა ძალიან შორეულ პერსპექტივად მოჩანდა და გაწევრიანებაზე საჯაროდ საუბარს ვერიდებოდი, რადგან საზოგადოებას ჩემი ჭარბი ოპტიმიზმი შეიძლებოდა არ მოწონებოდა. თუმცა ჯერ კიდევ მაშინ ვხედავდი, რომ საქართველოს 2030 წლისთვის ევროკავშირში გაწევრიანება შეეძლო. დღეს, როდესაც 2030 წლამდე სულ რაღაც 6 წელია დარჩენილი, საქართველო არის გამოკვეთილი ლიდერი ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებს შორის დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, ინსტიტუტების სიძლიერისა და კორუფციის სიმცირის თვალსაზრისით. საქართველოს ეკონომიკა იზრდება ყველაზე სწრაფად ყველა კანდიდატ ქვეყანას შორის.

გაძლევთ პირობას, რომ ყველა წინააღმდეგობას გადავლახავთ, სუვერენიტეტსაც განვიმტკიცებთ, მშვიდობასაც შევინარჩუნებთ, ქართულ ეკონომიკასაც გავაძლიერებთ და 2030 წელს გავხდებით ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ჩვენ ვართ უნიკალური ერი უნიკალური ისტორიით, ტრადიციებითა და იდენტობით. სწორედ ამ უნიკალური ეროვნული ტრადიციებითა და იდენტობით უნდა გავწევრიანდეთ საერთო ევროპულ ოჯახში, რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს ნამდვილი ფასი ევროკავშირს საქართველოსთვის და საქართველოს ევროკავშირისთვის.

ჩვენი ფეხბურთელების წარმატებამ გაგვიმყარა რწმენა, რომ ოცნებების ახდენა შესაძლებელია. ქართველ გულშემატკივარს აუხდა 30-წლიანი ოცნება და საქართველოს ნაკრები პირველად ისტორიაში გავიდა ევროპის ჩემპიონატზე. მჯერა, რომ ეს უდიდესი წარმატება არის პირველი ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის ოცნებების ახდენის გზაზე.

თავისუფალი, დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო, ევროკავშირის წევრი საქართველო, გაერთიანებული და გამთლიანებული საქართველო–ეს არის ჩვენი ქართული ოცნება, რომელსაც ყველა ერთად აუცილებლად ავიხდენთ.

კიდევ ერთხელ წინასწარ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! გისურვებთ სულიერ და ფიზიკურ მხნეობას, ბედნიერებას და წარმატებებს თქვენ და თქვენს ოჯახებს!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ, სუვერენულ და ერთიან საქართველოს!

ტრადიციებისა და სიახლეების შერწყმით

ათეული წლების წინათ ხობში არსებული პიონერთა სახლი ერთადერთი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი გახლდათ, რომელიც სკოლების შემდეგ მომავალ თაობაში მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების სიყვარულს ნერგავდა, წიგნიერებას, სულიერებასა და ცნობიერებას აღვივებდა.

დრომ მოიტანა და ცხოვრება სულ სხვა რელსებზე შედგა... გაფართოვდა არეალი იმისა, რომ მოზარდ თაობას სულ სხვა სახით დაენახა მომავალი და შეემეცნა ცხოვრების ახლებური არსი.

ძველის ნაფუძნარზე ტრადიციულად ისევ და ისევ ხმიანობს ხობში არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი, რომელიც შემართებით ასრულებს კეთილშობილურ მისიას და მოზარდების აღზრდა-განვითარების ფუნქციას ითავსებს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში წლებია ფუნქციონირებს მხატვრული კითხვისა და ლიტერატურამცოდნეობის (სპეციალისტი მაია კუჭავა), ხატვის (ირა სიხარულია), მათემატიკის (სპეციალისტი ლელა ნანეიშვილი), ისტორია-მხარეთმცოდნეობის (ნინო გერგაია), ქორეოგრაფიის (პაატა ჭითაშვილი, მამუკა გვასალია), ხალხური საკრავების (თენგო ჩიტაია), ნორჩ ჟურნალისტთა (აზა თათარიშვილი), გალობის შემსწავლელთა (ნინო ციცხვაია-დარასელია) წრეები. მოსწავლე–ახალგაზრდები ჩართულები არიან იმ წრეებში, რომლებიც მათ მოსწონთ და უყვართ.

უკეთესი მომავლის რწმენით დაიწყო ახალი წელი მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში.

ტრადიციულად, მისი ხელმძღვანელი ქალბატონი აზა თათარიშვილი აღნიშნული წრეების სპეციალისტებთან ერთად მონდომებითა და ერთსულოვნებით მოძღვრავენ ახალ თაობას. ისინი აქტიურად არიან ჩართულები აღნიშნული სახლის ყოველდღიურობაში, რის გამოც აქ მუდამ მოსწავლეთა სიმრავლეა. ცენტრში აღინიშნება დღესასწაულები, ტარდება კონკურსები, ეწყობა გამოფენები, მოცეკვავეები მოგზაურობენ უცხო ქვეყნებში, არიან ლაურიატები...

ახალი წლიდან მეტის გაკეთების სურვილით მოვიდნენ მოზარდები, ისინი ამჟამად უფრო დინჯები, ფაქიზები, ადამიანების მიმართ უფრო კეთილგანწყობით არიან. რასაც სიახლეები და ახალ-ახალი გამარჯვებები მოყვება თან.

ამასწინათ მეც გახლდით მათ ღონისძიებაზე და გული სიამით ამევსო. რამდენი რამ ძალუძთ პატარებს, პედაგოგებს...

როცა გავხედე ამ წელს ჩატარებულ ღონისძიებათა ნუსხას, გადავწყვიტე ის მკითხველისთვის გამეზიარებინა...

აქ ყოველი დღე ძალზე დატვირთულია, მით უფრო კვირეულის დღეებში, ამიტომაც მონაწილეებსაც თავის წარმოჩენის მეტი სურვილი უჩნდებათ.

აი ჩატარებულ ღონისძიებათა ნუსხა:

მოსწავლე-ახალგაზრდების ცენტრში ჩატარდა ცნობილი ქართველი მწერლის შიო მღვიმელის (შიო ქუჩუკაშვილის) დაბადების დღის აღსანიშნავი ღონისძიება, სადაც მხატვრული კითხვის წრის წევრებმა წაიკითხეს მისი ლექსები „ია“, „პაწაწინა მერცხალი“, „საქართველო ლამაზო“, „ჩემო ტკბილო საქართველო“.

გაიმართა ნორჩი ჟურნალისტების შეხვედრა ხობის მუნიციპალიტეტის მერთან, ბატონ დავით ბუკიასთან. ასევე აღინიშნა აუტიზმის დღე.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა გაზაფხულის დღესასწაულები. მხატვრული კითხვის წრის წევრებმა წარმოადგინეს კომპოზიცია–„გაზაფხული ვიზეიმოთ დედა!“ სცენაზე აღსაზრდელებმა შესანიშნავი რეპერტუარი წარადგინეს. საინტერესო და ამაღლებული იყო ღონისძიებაში თორსის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჩართულობა (მასწავლებელი კესო კვაშილავა, მოსწავლეები მანანა ხარჩილავა, ნანა მეტრეველი, ნონა ბაძაღუა).

მათემატიკის საერთაშორისო დღეს კი კიდევ ერთი ლამაზი ღონისძიება აჩუქეს მათემატიკის წრის წევრებმა დამსწრე საზოგადოებას.

ცნობილია, რომ 1989 წელს შეიქმნა ლარის შოუ და იგი ამჟამად აღინიშნება როგორც „პი-ს“ დღე. წრის წევრებმა გიგა და გიგი გახოკიებმა, სოფო ფაჩულიამ, ლუკა ქარცხიამ, ნინო ლიპარტიამ, ლუკა გვასალიამ, ბარბარე გაბელიამ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ამ დღის ისტორია, მათ წარადგინეს პრეზენტაციები: რა არის მათემატიკა? ციფრების, რიცხვების წარმოშობის ისტორია... „მათემატიკა გონების მუსიკაა...“ კავშირი მუსიკასთან „პი-ს“ ყღერადობა, მელოდია პის მოტივებზე. იმუშავეს და წარადგინეს პლაკატები, ინსცენიერებები–როგორი იქმნებოდა სამყარო მათემატიკის გარეშე: მედიცინა, კულინარია, ვაჭრობა... ბოლოს გაიმართა სახალისო მათემატიკის კონკურსი... ე.ი. საუცხოოდ აღინიშნა მათემატიკის საერთაშორისო დღე.

მხატვრული კითხვის წრის წევრებმა მეცადინეობა დავით აღმშენებლის ხსენების დღეს მიუძღვნეს. წაიკითხეს აღმშენებლის ბიოგრაფია (მეგი ბიგვავა, მონიკა თათარიშვილი), ლექსები „ფეხი დამადგით“ (ანასტასია ბერაია), „ხელში გელათი უჭირავს“ (მონიკა და ლუკა თათარიშვილები), პოეტ ე. უგულავას ლექსი „ძლევაი საკვირველი“ წაიკითხა ანასტასია ხოლუაშვილმა. აღნიშნული ლექსი დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავზე, საქართველოს მწერალთა კავშირმა, პოეზიის კონკურსის გამარჯვებულად გამოაცხადა.

მოსწავლეებმა ნახეს ფრაგმენტები ვიდეო-ფილმებიდან 1121 წელი–დიდგორის ბრძოლა. აქტივობაში ჩაერთნენ მოსწავლეები ა. დვალიძე, გ. ზარანდია, ქ. კოდუა. ბოლოს წაკითხულიქნა ხეთელი ქალბატონის, ამჟამად ბათუმში მცხოვრები პოეტის ნონა ლატარიას ლექსი „მეფეო დავით“.

წიგნის საჯაროდ წაკითხვის მსოფლიო დღეს მხატვრული კითხვის წრის წევრებმა წაიკითხეს აფორიზმები „ვეფხისტყაოსნიდან“, ასევე მათთვის საყვარელი ავტორების ლექსები.

ანასტასია ხოლუაშვილმა (წრის წევრი) წიგნის პოპულარიზაციის მიზნით დაამზადა ბუკლეტი, რომლის მიზანია თანატოლებს შეახსენოს, რომ აქტიურად ჩაერთონ წიგნის კითხვაში.

დანიელი მეზღაპრის, ქრისტიან ანდერსონის დაბადების დღეს დაემთხვა საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღეს. მხატვრული კითხვის წრის წევრებმა წაიკითხეს ნაწყვეტები ზღაპრებიდან–„ნამცეცა“, „წითელი ფეხსაცმელი“, „ჯადოქარი ბაღი“.

მრავალი საინტერესო აქტივობებით აღინიშნება მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრში ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ბოლო დღეც აქ საინტერესოდ აღინიშნა. მოსწავლეები მარიამ და ნინო დათუაშვილები, ბარბარე შელია, ლია ჯიქია, გაბრიელ ზარანდია, ანდრია დვალიძე და სხვები კიდევ ერთხელ მოეფერნენ ქართულ ენას და დედა ენისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს.

ღონისძიების საპატიო სტუმრებმა–პედაგოგებმა: იამზე აბრალავამ და დოდო აბრამიამ კონკურსში მონაწილე მოსწავლეებს, რომლებმაც წაკითხული ლექსები და მათი საუკეთესო შესაძლებლობები გამოავლინეს, შემდგომი წარმატებები უსურვეს.

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის მეორე დღე დაეთმო ნოჯიხევის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებს, რომლებმაც წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ!” ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ლიკა სიხარულია, მარიამ სერგია, ცოტნე ალექსანდრია, ლიკა ცირდავა, ანი სერგია, ლუკა ჯორჯიკია, ანდრია შულაია, ფრიდონ გოროზიანი, ლიზი ჯორჯიკია, სესილი გერგაია, გაბრიელ გერგაია, ქეთევან ცხადაია, ნიკოლოზ კვირაია, ლიკა ხარებავა.

კომპოზიციაში ნათლად გამოჩნდა, რომ ერის სული გადანახულია მის ენაში, ხოლო ენის ხმალიცა და ფარიც მისი ანბანია. იგი უბრალოდ აზრის გადმოცემა კი არ არის ქაღალდზე, არამედ მასში გაცხადებულია მთელი კოსმიური სამყარო.

მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ ქართული ანბანი ღვთაებრივ საიდუმლოს ინახავს და ამ საიდუმლოსთან მიახლოება უდიდესი მადლია.

ბედნიერებაა, რომ შეგიძლია შეეხიდო შენს მოსწავლეებს, რომ მადლიანი ქართული ანბანის სამყაროში სიყვარულით შეაღონ კარები, შემდეგ მტკიცედ, ამაყად გაუყვნენ ქართული მზით განათებულ გზას. კვირეული მართლაც გამორჩეული იყო.

კვირეულის ფარგლებში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა კონკურსი კალიგრაფიაში.

კალიგრაფიული ხელწერით გამოირჩეოდნენ: ლია ჯიქია, დემეტრე კორტავა, მარიამ ხურცილავა, მელანო კონჯარია და სალომე გოგია.

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული დასრულდა.

დედაენის დღე მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრში მრავალი საინტერესო აქტივობით აღინიშნა.

როგორც ვხედავთ, მოსწავლეთა სახლის ყოველდღიურობაში ერთმანეთს საინტერესოდ ერწყმის ტრადიცია და სიახლეები.

ნანი კილასონია.

ალიო მირცხულავა-121

სახელოვანი წინაპრები

ჩვენი ალიო
(ჩანახატი)

ხობის რაიონში არის პატარა სოფელი პირველი ხორგა. სიმწვანეში ჩაფლულს გულზე გვირილები დაუბნევია და ყოველ დილით შუბლგახსნილი და ვალმოხდილი ეგებება მზეს.

ამ სიმწვანეში დგას საოცარი ოდა, მანდარინების და ლიმონის ხეებით ავსილი ეზო, მის კვალდაკვალ კი ლექსთა ჰარმონია სუფევს, აქ დღესაც ბობოქრობს და მზეს ახარებს კაცი, რომელსაც ალიო ერქვა.

ის 28 აპრილს, გამთენიისას, დაბადებულა 1903 წელს და მას შემდეგ სოფლის ყოველი გზის გასაყართან თუ ორღობეში კაი კაცობის სიმღერა ისმის.

ამაყია ხობი და პირველი ხორგა ასეთი ადამიანის მშობელი რომ არის. სოფლის სკოლა კი დღესაც მის სახელს ატარებს. მისი ბიუსტი განვლილ წლებზე ქადაგებს.

კრთიან ათინათები, დრო კი ძერწავს და ძერწავს ბუმბერაზ ადამიანებს.

ბედნიერებაა, როცა შენს სოფელშიც გამოძერწილა ასეთი ადამიანი.

ალიო მირცხულავა იყო საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი, მწერალთა კავშირის პირველი გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი, ჟურნალების „მნათობი“ და „დროშა“ რედაქტორი, საქართველოს წიგნის პალატის დირექტორი.

მეამაყება, რომ იმ სოფლის მკვიდრი ვარ, ჩემი შვილები გაიზარდნენ იმ სოფელში, სადაც ალიო დაიბადა, გაიზარდა, წერდა ლექსებს და ყალიბდებოდა როგორც კარგი მწერალი და პოეტი.

მეც ხელს ვუწვდი მის ეზოში შემოსულ მზეს, რომელიც ძალიან მათბობს, მაგრამ ვმორცხვობ, რადგან ის, ალიოს ეკუთვნის და მჯერა გავა დრო, მისი დიდება არ გახუნდება, მისი სახელის კვალდაკვალ გაიზრდებიან შონიები, ბერაიები, კორტავები და ალიოს გვერდით გმირობისა და კაი კაცების სახელს დაიმკვიდრებენ.

მანანა გაბელაია,
შუა ხორგის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული მასწავლებელი.

ვერხვი
ალიო მირცხულავა

ულდეზე ვდგავარ თეთრი ვერხვი, მხრები
ამიტოტებია,
ვინმე ხრამში თუ გადასცდა, ხელი გამიწოდებია,
მეხს ვარიდებ მოზარდ ვერხვებს,–
ტანი აუშოლტებიათ,
ფრთებს ისხამენ მტრედები და საბუდარებს
შორდებიან,
ახლაც ვებრძვი ქარს და წვიმას გული აუშფოთებია,
თუ სიტყვები მცვივა, განა შემოდგომის ფოთლებია?
მცვივა, განა მცილდებიან, თრთიან, განა ხუნდებიან,
ადრე აბიბინდებიან, უფრო ადრე ბრუნდებიან,
განა მწუხრის ბინდებია,–ეს მტრედების გუნდებია,
მხრებზე დამაფრინდებიან, ტკბილად აღუღუნდებიან.
ჰე, მამულო, შენს თეთრ გუშაგს განა რული მორევია,
ფესვი მიდგას შენს მიწაში, ირგვლივ ქარის მორევია,
გაქრა ღამე, აღარც ომი, აღარც სისხლის ტბორევია,
ეს ჭრილობაც, ეს ღიმილიც ტყვიის ნაამბორევია.
მეც ვშფოთავდი! საგულეში ცეცხლის
ალი ფრიალებდა,
წყრიალებდა გულის ჯარი, თუ ცისჯარი ჭრიალებდა,
მეც ვშფოთავდი და ფიქრებში ტევრი მწარედ
შრიალებდა,
ჩრდილზე ფეხს რომ დამადგამდნენ, ტანში
გამაჟრიალებდა.
შენ გიცავდი, შენთვის დამჭრეს, შეწყდა სისხლი
და იარა,
შემიხორცდა ნატყვიარი და ტკივილმაც გაიარა.

ვაჟა ეგრისელი, ხუტა ბერულავა, ჭაბუა ამირეჯიბი, ლაჟვარდ ბუკია, ალიოს სახლ-მუზეუმში

შალვა შენგელი და ალიო მირცხულავა

ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება მთაწმინდაზე: ალიო მირცხულავა, გიორგი ლეონიძე, რაჟდენ გვეტაძე, სერგო კლდიაშვილი, შალვა დადიანი, ილო მოსაშვილი, პავლე ინგოროყვა.

„უჩინო“ ადამიანების მოსაგონარი...

ჩვენი მუნიციპალიტეტი დღესაც ამაყობს და გამორჩეულია „ჩინიანი“ და „უჩინო“ სახელოვანი ადამიანებით... წლებმა მათ სახელებს არაფერი დააკლო, უფრო გაამრავლა და გააცისკროვნა მათი რიცხვი...

ჩემს ცხოვრებას, სამსახურებრივ მდგომარეობას მრავალი მოგონება, სახელოვან, ნიჭიერ ადამიანებთან ურთიერთობა ათბობს. სამწუხაროდ, ბევრი მათგანის არ ყოფნა ხშირად მიფორიაქებს სულს...

როცა მაშინდელი ხობის სიამაყე და ბერმუხა პოეტი ალიო მირცხულავა ტელევიზიაში თავისი საუკეთესო და გამორჩეული ლექსის– „ვერხვის“ კითხვისას სამუდამოდ დადუმდა, გვეგონა სამყარო გაჩერდა...

დიდუბის პანთეონში დაკრძალვაზე, ქარიატის საშუალო სკოლის პედაგოგი, მიხეილ გიგიბერია გამოსამშვიდობებელ სიტყვას წარმოთქვამდა, ტაშმა იქუხა (მაშინ, როგორც ვიცი, ტაშით არავის აცილებდნენ) ეს იყო დიდი მოწიწების, სიყვარულის, ორი დიდი ხობელის–დიდი ალიოს და ბატონი მიხეილის სადიდებელი ტაში...

შემდგომ წლებში ალიო მირცხულავას დიდებას ყოველწლიურად აღნიშნავდა ჩვენი რაიონი.

დიდებული პიროვნების ბატონ ნუგზარ ნადარაიას თაოსნობით და მონდომებით სოფელ პირველ ხორგაში ალიოს სახლ-მუზეუმი გაიხსნა და ქართველ პოეტთა კოჰორტა, ალიოს დისშვილის, ასევე დიდი პოეტის ვაჟა დოლბაიაეგრისელის თავკაცობით ეწვია სოფელს. მუზეუმის დირექტორად სკოლის დირექტორი, სულმნათი აკაკი ნაროუშვილი დაინიშნა... ვიდრე ცოცხალი იყო, იგი საკუთარი სახლივით უვლიდა იქაურ გარემოს.

რედაქციის შენობა (თამამად შემიძლია ვთქვა), განათლებულ, წიგნიერ ადამიანთა საკრებულოს წარმოადგენდა. ხშირად ვმჯელობდით, ვკამათობდით პოეზიაზე, ლიტერატურაზე, მუსიკასა თუ თეატრზე. ბატონი ნუგზარ ნადარაიას წყალობით არ გვაკლდა თეატრისა თუ კინოს მსახიობთა, გამოჩენილ მუსიკოსთა და მოცეკვავეთა სტუმრობა და ხილვა.

ერთხელაც ასეთ „შეკრებაზე“ სკოლის დირექტორმა, ფიზიკურად და სულიერად გამორჩეულმა პიროვნებამ, ბატონმა კარლო ჯობავამ მომიტანა უამრავი მასალა, ალიო მირცხულავას ცხოვრების ამსახველი ფოტოებით და მითხრა:

ამას მარტო შენ განდობ, კარგად შეინახე და გამოიყენეო...

მაშინ ვიუარე, მე შენზე ასაკით დიდს, რატომ მიტოვებ მეთქი... წუთისოფელმა არ დაინდო... სამწუხაროდ, ბატონი კარლო წლებია ამქვეყნად აღარ არის. ეს ფოტოები კი შემომრჩა, ტკივილიან მოგონებად, ამასთან მიხეილ გიგიბერიას ორი ხელნაწერი (ალიოს იუბილეზე ოპერის თეატრში წარმოთქმული და ხობელების სახელით გამოსათხოვარი სიტყვა).

თითქოს ამ დღეს ელოდაო, დიდი მოწიწებით ვაქვეყნებ ამ ფოტოებს–ტკივილით, ჩვენი რაიონის ამ ბუმბერაზი „უჩინო“ ადამიანების მიხეილ გიგიბერიას, კარლო ჯობავას, რევაზ კორტავას, აკაკი ნაროუშვილის სულების საოხად.

ახალი თაობის საყურადღებოდ და საამაყოდაც, რომ მათ ასეთი ბუმბერაზი წინაპრები ჰყავდათ...

მერი ლაგვილავა

წარსულის ფურცლებიდან

ერთი უიღბლო სიყვარულის ისტორია

სადაც არ უნდა ყოფილიყო, თავადი უჩა დადიანი, მუდამ თან დაატარებდა მშობლიური სოფლის სიყვარულს. დიდებულად აქვს აღწერილი მწერალ ფუცუ დგებუაძე–ფულარიას თავის შესანიშნავ რომანში „ოქროს ბეჭედი“ ხიბულის ისტორია–იქაური ყოფა-ცხოვრება, ბუნება და სილამაზე. სწორედ ეს ადგილი არჩია საცხოვრისად კონსტანტინე (წიწა) ლევანის ძე დადიანმა და დიდი ნიკოს შვილიშვილმა, გიორგი დადიანის ასულმა მაია დადიანმა.

ხიბულაში დაიბადნენ მათი შვილები, უჩა (დავითი), გრიგოლი (გრიშა) და ასული ნინო.

დედა ბატონს განსაკუთრებულად უყვარდა შუათანა უჩა, დიდ იმედებს ამყარებდა მასზე, მაგრამ...

უჩა დადიანმა განათლება პეტერბურგში მიიღო–ის ჰუსართა სკოლაში

სწავლობდა, გარკვეული პერიოდი რუსეთის მეფის კანვოოში ირიცხებოდა. ისე ყოფილა შეთამამებული იმპერატორ ნიკოლოზ მეორესთან, რომ ბანქოში წაგებული ფულის გასტუმრებაც კი უთხოვია, ხელმწიფის ოჯახში შინაურ კაცად ითვლებოდა, „მთელი სასახლე აღტაცებაში მოჰყავდა მის გარეგნობას, ჩაცმა-დახურვას, სიმარდეს, ენამახვილობას. ბევრ დიდგვაროვან ქალს უძგერდა მისთვის გული. ის თავისუფლად ფლობდა ფრანგულს, უბადლოდ იცოდა რუსული ენა“. მაია კმაყოფილი იყო უჩას პეტერბურგში ცხოვრებით და იმ პატივით, რომლითაც უჩა ხელმწიფის სასახლეში სარგებლობდა.

ბოლო პერიოდში ხშირად ჩამოდიოდა ის მშობლიურ სოფელში, მოინახულებდა დედას და შემდეგ ქუთაისში სტუმრობდა თავის ბიძა გრიგოლს (გენერალი პოეტი, წერდა ლექსებს „კოლხიდელის“ ფსევდონიმით).

გრიგოლ დადიანის სახლი ერთგვარი სალონი იყო იმდროინდელ ქუთაისში. მის ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ აკაკი წერეთელი, კოწია ერისთავი, კირილე ლორთქიფანიძე, დათა ნიჟარაძე–ინტელიგენციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, ექიმები, ვექილები, ისინი, ვინც თავისი ქვეყნის მომავალზე ფიქრობდა.

სწორედ ქუთაისში პრინც ოლდენბერგის და აგრაფინა ჯაფარიძის ოჯახში, ერთ-ერთ წვეულებაზე გაიცნო უჩა დადიანმა ბაბილინა (ბარბარე) ერისთავის ქალი. გენერალ ალექსანდრე დადეშქელიანის მეუღლე.

ალექსანდრე დადეშქელიანი ნათესავად ერგებოდა უჩას ოჯახს. პრინც ოლდენბერგის და აგრაფინას ოჯახში ბორჯომში, გრაფ ანდრეი ტოლსტოიმ, დიდი მწერლის შვილმა და ელენე გურიელმა აქ გაიცნეს ერთმანეთი, გაიცნეს და ისე შეუყვარდა, ანდრეი ტოლსტოიმ ცოლობა შესთავაზა, მაგრამ თავადის ქალი მოტყუებული დარჩა, შეურაცხყოფილმა ელენემ თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე).

„საბედისწერო შეიქმნა უჩასთვის ეს შეხვედრა. ვინ იცის, რამდენჯერ დასწყევლა უჩამ ის საათი და წუთი, როდესაც პირველად ნახა ბაბილინა, ვერც ხელმწიფის სასახლემ, ვერც დიდმა საზოგადოებამ და ვერც მაღალმა გატაცებებმა ვერ დაფარა ბაბილინას მომაჯადოებელი სახე უჩას მეხსიერებასა და გულში. სადაც არ უნდა ყოფილიყო, მუდამ თან სდევდა მისი ელვარე თვალები, კილოაზიდული წარბები“ („ოქროს ბეჭედი“).

ყველა უმალავდა, დედა ბატონს ამ ამბავს. როგორ, ჩემი ერთადერთი იმედი, უჩა, ისე გადაგვარდა, დაკარგა ნამუსი, რომ საპატიო ქართველის ოჯახის სახელის გამტეხი შეიქმნა. ვაჟს გამიჯნურება მიეტევება, ფიქრობდა მაია, მაგრამ გააჩნია სად და ვისთან. ვაჟკაცი რის ვაჟკაცია, თუ სიყვარულით ისე დაუბნელდება თვალები, რომ თავისიანის პატივმოყვარეობას დაკარგავს. ვის უპირებს ჩემი შვილი შერცხვენას? თვალად ალექსანდრე დადეშქელიანს, რომელიც მასზე უკეთესი თუ არა, არც არაფრით ნაკლებია, ვაჟკაცობით, სწავლით თუ საქმით. მრავალშვილაინი კაცია, როგორ გაბედა უჩამ, რომ გულში გაივლო მისი ღალატი?“

რაც დრო გადიოდა, უფრო ეკიდებოდა სიყვარულის ცეცხლი უჩას. მთელი მაშინდელი ქუთაისი ალაპარაკდა დადიანისა და დადეშქელიანის ცოლის ურთიერთობაზე. ალექსანდრე დადეშქელანმა დუელშიც გამოიწვია დადიანი. ჩაერივნენ მეგობრები და დუელიც დააზავეს.

ერთ დღეს საშინელი ამბის მომსწრენი გახდნენ ქუთათურები. 1910 წლის 8 იანვარს, სამშაბათ დღეს, მოკლული იპოვეს ალექსანდრე დადეშქელიანი. დატრიალდა პოლიცია–ჟანდარმერია, მაგრამ მკვლელი ვერ იპოვეს.

თავად ალექსანდრე დადეშქელიანის მკვლელობა უჩა დადიანს ბრალდებოდა. მას ლამის ოცი წლით უკრეს თავი კატორღაში. სასამართლო პროცესი რამდენიმე წელიწადი მიმდინარეობდა. მის უფლებას იცავდა ცნობილი ადვოკატი ნიკოლაი კარიაბჩევსკი, მან შეძლო საქმის ისე შეტრიალება, რომ დადეშქელიანი არა მსხვერპლად, არამედ დამნაშავედ გამოიყვანა.

როგორც კი ორმოცი გადაუხადეს დადეშქელიანს, უჩამ მოიტაცა ქვრივი და ჯვარი დაიწერა მასზე. ბაბილინა ერისთავისა და კონსტანტინე დადეშქელიანის ექვსივე შვილის აღზრდა უჩა დადიანმა იკისრა.

საქართველოს „გაწითლების“ შემდეგ, უჩა დადიანი ბაბილინასთან და მის ოჯახობასთან ერთად კონსტანტინოპოლში გადაიხვეწა, მაგრამ მათი ბედნიერება მცირე ხანს გაგრძელდა, ერთ დღეს ბაბილინა ტრამვაიმ გაიტანა. ოჯახის მთელი სიმძიმე და ბავშვების აღზრდა უჩა დადიანს დააწვა მხრებზე. მან თურმე ამ მისიას ღირსეულად გაართვა თავი.

1923 წლიდან იგი ცხოვრობდა ნიუ-იორკში, მუშაობდა მაჩაბელის საპარფიუმერიო ფირმაში.

უჩა დადიანი 1932 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია ლონგ-აილენდზე მდებარე სასაფლაოზე...

ველარც სამშობლოს მიწას ეღირსა და ველარც საყვარელი ქალის გვერდით განსვენებას.

ბეჟან ნადარაია

უჩა დადიანი

„ლამაზია ლოს-ანჯელესი,
მაგრამ ჩემი ხიბულა უფრო
ლამაზია.“

(უწარჩინებულესი და უგანათლებულესი თავადი უჩა დადიანი).

ნეტავ ასეთი თილისმა რა გაქვს, ფუძის ანგელოზო,
პატარა ხიბულა დაამჯობინე ლოს–ანჯელესსო.
შავმა სატანამ ბევრჯერ გვაცდუნა, წაგვართვა გონი,
ემიგრანტებო, მე თქვენს ნატერფალს მივსტირი, ვკოცნი.
ვის არ სმენია ომის ღმერთი, მარდი, მადლიანი,
დიდ დადიანთა კერპთა კერპი უჩა დადიანი,
ჭანისწყლის პირას მოვლენილი და აფრენილი,
კოდალ–მზეკალზე, რიკ–ტაფელაზე ბიჭი გაზრდილი.
ტყვიას ისროდა და დუელანტებს შიშით აკრთობდა,
პეტერბურგს, პარიზს, ლოს–ანჯელესს სახელხმიანობდა,
იმედი იყო დედა ბატონის—„ნანა“ მაიასი—
ნაღდი, ღვიძლი შვილი პატარა ხიბულასი...
მამულს აგლეჯილმა სხვისი მიწის მადლით მოითქვა სული,
და იყო მაინც უბედური—სამშობლო დაკარგული...
ღმერთო, მოიკითხე, ვინც დაუკარგა ღვიძლი ალაგი,
მშობელ მიწაში აღარ არგუნა ძვალთშესალაგი.

ირაკლი სიჭინავა (კოლხიდელი).

ექიმი გვირჩევს

პიცვერი და დაიცავი

–იმუნიზაცია ყველა დროის უდიდეს სამედიცინო მიღწევათა ათეულშია. იმუნიზაციით ყოველ წელს მილიონობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა ხერხდება, რადგან იგი სიცოცხლის და ჯანმრთელობისთვის სახიფათო დაავადებებისგან დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

–ვაქცინა, ორგანიზმის ბუნებრივ იმუნიტეტთან ერთად, ამცირებს დაავადებების განვითარების და გართულების რისკს. ამ ეტაპზე 20-ზე მეტი სიცოცხლისთვის საშიში დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინა არსებობს. მათი წყალობით ადამიანები თავიდან იცილებენ ან მარტივად უმკლავდებიან ამ დაავადებებს და შესაბამისად უფრო დიდხანს და ჯანმრთელად ცხოვრობენ.

–იმუნიზაცია ყოველ წელს 3,5–5 მილიონი ადამიანის სიცოცხლეს იცავს ისეთი სახიფათო დაავადებებისგან, როგორიცაა ტეტანუსი, დიფტერია, ყივანა-ხველა, გრიპი თუ წითელა.

–იმუნიზაციით მნიშვნელოვნად შემცირდა ვაქცინაციით მართვადი დაავადებები (ყვავილი სრულიად აღმოიფხვრა), თუმცა გეგმიური აცრების შემცირების შემთხვევაში კვლავ არსებობს ამ დაავადებების გავრცელების შანსი, ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, ყველა ბავშვს დროულად ჩაუტარდეს რუტინული (გეგმიური) იმუნიზაციის კალენდრით გათვალისწინებული აცრა.

–რუტინული იმუნიზაციის კალენდრით განსაზღრულია, როდის უნდა გაიკეთოს ბავშვმა რეკომენდებული ვაქცინები:

–რუტინული იმუნიზაციის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ ბავშვები დაცულები იყვნენ მაშინ, როცა მაღალია მათი ინფიცირების რისკი, ამის გამო ვაქცინაციის პროცესი ჩვილობის ასაკიდანვე იწყება.

–რუტინული იმუნიზაციის კალენდრით დადგენილი ვადების დაცვით, თქვენი ბავშვი დაცული იქნება სიცოცხლისთვის სახიფათო დაავადებებისგან.

–ყველა დოზა მნიშვნელოვანია; თქვენი შვილების სიცოცხლის სახიფათო ინფექციისგან დასაცავად ბავშვებს უნდა ჩაუტარდეთ რუტინული იმუნიზაციის კალენდარით გათვალისწინებული ყველა აცრა.

–ზოგი ინფექციის წინააღმდეგ იმუნიტეტის გამომუშავების და შენარჩუნებისთვის ვაქცინის ერთზე მეტი დოზაა საჭირო. იმუნიზაციის კალენდრით რეკომენდებული ვაქცინების ყველა დოზა ისეა გადანაწილებული, რომ დაცვის უნარი სათანადო დროს ჩამოყალიბდეს და გაგრძელდეს.

–დოზების გამოტოვებისა და დაგვიანების შემთხვევაში, დაცვაც სუსტი და არასაკმარისია, შესაბამისად, ინფიცირების და სერიოზული დაავადების რისკიც იზრდება.

–ყველა რეკომენდებული დოზის მიღება ნიშნავს, რომ თქვენი შვილი, განსაკუთრებით ჩვილები და მცირეწლოვანი ბავშვებიმა ქსიმალურად დაცულები იქნებიან საშიში ინფექციური დაავადებებისგან.

თუ რაიმე მიზეზით გამოტოვეთ რომელიმე ვაქცინის დოზა, ბავშვის ექიმი გირჩევთ, როგორ აღადგინოთ იგი და დაიცვათ ბავშვი ინფექციური დაავადებებისგან.

–მშობლებს შვილებისთვის მხოლოდ საუკეთესო უნდათ. ბევრს შეიძლება კითხვები და წუხილი ჰქონდეს ვაქცინაციასთან დაკავშირებით და ეს ბუნებრივია.

–ესაუბრეთ ბავშვის ექიმს და ვაქცინაციისა და დაავადებების შესახებ მიიღეთ სრული ინოვაცია თქვენთვის საინტერესო კითხვებზე.

–ვაქცინაციის მნიშვნელობის კარგად გააზრებას თქვენი ან საყვარელი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია. ესაუბრეთ სამედიცინო პერსონალს და მიიღეთ თქვენთვის საინტერესო და საჭირო ინფორმაცია აცრების შესახებ.

–მშობლებსა და სამედიცინო პერსონალს შორის ვაქცინაციაზე საუბარი ხელს უწყობს ნდობას და მოტივაციის ამაღლებას, ვაქცინების შესახებ რეკომენდაციების და აცრების კალენდრის დაცვას.

–საშვილოსნოს ყელის კიბო ქალებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კიბოს სახეობაა. შემთხვევათა უმრავლესობა გამოწვეულია ადამიანის პაპილომა ვირუსით, რომელიც სქესობრივი გზით გადამდები ყველაზე გავრცელებული დაავადებაა.

–საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენცია შესაძლებელია ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით, რომელიც უსაფრთხო და ეფექტურია.

–საშვილოსნოს ყელის კიბო მსოფლიოში რიგით მეოთხე, ხოლო საქართველოში რიგით მე-5 ყველაზე გავრცელებული კიბოს სახეობაა, რომელიც ვითარდება საშვილოსნოს ყელის კიბოს ქსოვილებში.

–საქართველოში საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევათა 4%-ზე მეტის გამოვლენა დაგვიანებულ სტადიაზე ხდება.

–კიბოს პრევენცია შესაძლებელია ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით. ადამიანის პაპილომავირუსის ვაქცინა არის უსაფრთხო, ეფექტური და იცავს საშვილოსნოს ყელს კიბოსგან.

–ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია რეკომენდაციას უწევს 9–14 წლის გოგონების ვაქცინაციას. საქართველოში პაპილომავირუსის საწინააღმდეგო რუტინული ვაქცინაცია ტარდება 10-11-12 წლის ასაკის გოგონებში და ბიჭებში.

–ამ ეტაპზე, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოში ასევე ტარდება 13-20 წლის ასაკის გოგონების და ბიჭების პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის აცრები ტარდება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში.

–ბავშვთა ასაკში ვაქცინაციის მაღალი მაჩვენებლების მიღწევის გარეშე, ქვეყნები ვაქცინით მართვადი დაავადებების ეპიდემიის რისკის წინაშე დგანან, შედეგები კი შეიძლება სავალალო აღმოჩნდეს.

–ჯანდაცვის ცენტრი მუნიციპალიტეტის სოფლების საექიმო ამბულატორიების და პოლიკლინიკურ სამედიცინო დაწესებულებებს უზრუნველყოფს ყველა სახის ასაცრელი მასალების, ვაქცინების 3 თვის მარაგით. ყველა სახის ასაცრელი ვაქცინებით ცენტრი უზრუნველყოფილია დაავადებათა კონტროლის მიერ ცენტრალიზებული წესით.

ჯანდაცვის ცენტრი და ჯანდაცვის პირველადი რგოლები უზრუნველყოფილია სპეციალური სავაქცინე მაცივრებით და ცივი ყუთებით. სულ შემოდის 9 სახეობის ვაქცინა, რომლითა აცრები ტარდება 14 დაავადების წინააღმდეგ.

ყველა სახეობის ვაქცინაცია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არის სრულად უფასო.

ჯუმბერ ტურაევა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი-პროფილაქტიკოსი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის გაღმა საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზის და თორსა-დღვაბა-ხამისკურის დამაკავშირებელი გზის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

დასახლებებში გზების რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლუდუკ ხასია და ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია გაეცნენ.

პროექტების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 4 მილიონ 448 ათას ლარზე მეტია.

გაღმა საჯიჯაოში, თორსა-დღვაბასა და ხამისკურში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, გზებზე გადაადგილება უსაფრთხო და კომფორტული გახდება.

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

ხობის მუნიციპალიტეტის ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში, 9 აპრილის ქუჩაზე.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტი ხორციელდება.

სოფელ ბიაში გზის რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლუდუკ ხასია და მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია გაეცნენ.

პროექტის შესაბამისად დაიგება ბეტონის საფარი, მოეწყობა რკინა-ბეტონის კიუვეტები. დამონტაჟდება საგზაო ნიშნები და ხელოვნური საგზაო ბარიერები.

პროექტი, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაც 1 640 113 ლარს შეადგენს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ხობის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

აპრილს, ხობის მუნიციპალიტეტის პირველი ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში, აგვისტოს ომის დროს დაღუპული რეზერვისტის, გოგა ბერაიას სახელობის ტურნირი გაიმართა მინი ფეხბურთში.

პირველობის გამარჯვებული და გოგა ბერაიას სახელობის თასის მფლობელი ქალაქ ხობის გუნდი გახდა, მეორე ადგილი –ჭალადიდმა, ხოლო მესამე ადგილი–ქარიატის გუნდმა დაიკავა.

ფინალურ შეხვედრებს ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბერაია და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სპორტული ღონისძიება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ორგანიზებით განხორციელდა.

კვალი დროში

სიმართლითა და ღირსებით შემკული



მას არც პენსიაზე გასვლის შემდეგ გამოუჩენია პასიური პოზიცია და მწერლობაშიც გაავლო თავისი მოკრძალებული კვალი–ბევრი ჩვენგანის წიგნების თაროს ამშვენებს მისი რამდენიმე წიგნი.

მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონეს არასდროს ჩვეოდა საქმის მოსაჩვენებლად, ზერელედ კეთება და ასეა დღესაც, თუნდაც ადამიანებთან უშუალო ურთიერთობაში. პროფესიონალი პარტიულ და სამეურნეო სფეროში მუდამ მშრომელთა ინტერესების დამცველი, ცხოვრებისეულ პრობლემებთან მედგრად მებრძოლი, უაღრესად პრინციპული, სიტყვის და საქმის კაცი, მტკიცედ მომთხოვნი სხვებისა და უპირველესად საკუთარი თავისადმი: ურეკლამოდ, უხმაუროდ თესდა სიკეთეს და დიდად სიამოვნებდა ეს.

ყველას ჩვენი რაულ ჯახია გვყავს!

გულწრფელად ვულოცავთ ჩვენთვის ძვირფას ადამიანს საიუბილეო თარიღს–დაბადებიდან 80 წლისთავს და ვუსურვებთ მისთვის ჩვეულ შემართებას შემდგომ წლებშიც, ჯანმრთელობას და ბედნიერებას ოჯახთან და შთამომავლებთან ერთად.

რაულ ჯახია 1944 წლის 22 აპრილს დაიბადა ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოში. ნიჭიერ ახალგაზრდას კარგად უსწავლია–საშუალო სკოლა–ოქროს მედალზე, შემდგომ სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი–სოხუმში და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია მოსკოვში წარჩინებით დაუმთავრებია და 50-წლიანი მუშაობის ნაყოფიერი გზა გაუვლია ფიზიკური შრომიდან დაწყებული, პარტიულ-პოლიტიკური, ჟურნალისტური, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოებით გაგრძელებული:

კომკავშირული და პარტიული ძირეული ორგანიზაციების მდივანი, რაიონული გაზეთის რედაქტორი, წლების განმავლობაში ხობისა და წალენჯიხის რაიონებში საბჭოთა და პარტიული ორგანოების ხელმძღვანელი, სამეურნეო ორგანიზაციებში, რესპუბლიკურ სტრუქტურებში მოღვაწეობა და ბოლოს, სახელისა და ღირსების შეურყვნელად პენსიაზე გასვლა.

...იშრომა, ყველგან სახელოვნად იღვაწა, ადგილობრივ და ქვეყნის უმაღლეს ორგანოებშიც იყო არჩეული, სხვადახვა ჯილდოებიც და აღიარებაც დაიმსახურა...

მოკლედ და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დაუღალავი, შემართებული შრომით მან ყველგან დაკისრებული მოვალეობაც და საკუთარი თავიც ასახელა.

მეგობრების ჯგუფი

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

ხევდიანი ეზო

(ეტიუდი)

გვიანი შემოდგომის წანწალი ამინდი იყო. ეზოში მდგარი ასწლოვან ცაცხვის ხეებს უკანასკნელი ფოთლები ჩამოსცვენოდა.

ირგვლივ სიჩუმეს დაესადგურებინა. მარტოობას მიჩვეული ბერი ძელზე ჩამომჯდარიყო და ფიქრიანი თვალებით, სადღაც შორს იცქირებოდა... წამოდგომა დააპირა, მაგრამ წასასვლელი არსად ქონდა და ისევ ფიქრებთან დარჩა... წუთისოფელმა მას ბევრი ტანჯვა დაატეხა თავს.

ურთის მთაზე შავი ღრუბლები ნელ-ნელა ეშვებოდა, ამინდის გაუარესება იყო მოსალოდნელი. ადგა, პირჯვარი გადაიწერა და თავის ფიცრულ ჯარგვალში შევიდა, ბერის სამოსში იყო, ჯვარი ფრთხილად მოიხსნა, სამჯერ ემთხვია, ტაბაკზე დადო და იქვე ნარზე წამოწვა. ეზმანა მონასტერში იყო, წირვას ასრულებდა, ფრესკებს ელაციცებოდა...

...პირველად დედამ წაიყვანა მონასტერში, მთელი მოსახლეობა იქვე, მონასტრის შემოგარენში იყრიდა თავს „მარაშინობასა“ და „იარმარკობაზე“, აქ პირველად ჩაესახა ღვთის სიყვარული პატარა ალექსის, ცნობისმოყვარე პატარა ბიჭს საეკლესიო ცხოვრების შესახებ ყველაფერი აინტერესებდა. გარკვეული დროის შემდეგ გადაწყვიტა მთელი ცხოვრება უფლის სამსახურისთვის მიენდო.

ოჯახს ადრე მოეკიდა, მაგრამ საერო ცხოვრებას მაინც ვერ ეგუებოდა. ერთ დღეს გადაწყვიტა მონასტერში წასულიყო, გადაწყვიტა და წავიდა...

ხობის ღვთისმშობლის მიძინების მამათა მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტ შიო ქვილითაიასთან ერთად მძიმე ჭაპანს ეწეოდა მონასტერში, ბერ ალექსი მირცხულავას პირადული ცხოვრებით და ბედნიერებით ერთი დღე არ უცხოვრია.

დადგა 1924-ის ავადმოსაგონარი წელი. ბოლშევიკურმა „ხალხის მთავრობამ“ ყველაფერი უარყო ქრისტიანული, დაიწყო ეკლესია-მონასტრების რღვევა. ხობის მონასტრის ბინადართ ავიწროებდნენ, შეურაცხყოფდნენ, მონასტრის ქონების ჩამორთმევით ემუქრებოდნენ. ასეთ ყოფაში წინამძღვარი და ბერები მონასტრებზე მაინც ზრუნავდნენ.

„ეკლესიას რა ვუყო, სანამ აკრძალული არ ვიქნები მანამდე გავჩერდები, მარა, ვერ მოვშორდები, არ მაქვს მამაპაპური არაფერი, არც სახლი და არც მიწა, ჩემი ცხოვრება არის მონასტერი“–წერს ალექსი წინამძღვარი აკაკი ჭანტურიას.

ყოველმხრივ შევიწროებული წინამძღვარი მონასტრიდან იძულებით გამოუშვეს, თუ ხმას ამოიღებდა დაჭერით და ლიკვიდაციით ემუქრებოდნენ, მაგრამ რწმენა და უფლისმიერი სიყვარული ვერ წაართვეს.

1962 წელს გარდაიცვალა ნაწამები არქიმანდრიტი. მრევლმა მას ხობის მონასტრის სამრეკლოს შენობაში მიუჩინა სამუდამო საპატიო ადგილი.

...იმ დღესაც წვიმდა... მონასტრის ეზოში სიცარიელის სევდა დამდგარიყო.

ბეჭან ნადარაია

ჭადრაკი

ქალაქ ფოთში საკვალიფიკაციო ტურნირი გაიმართა, სადაც V თანრიგზე უფროს მოჭადრაკეთა შორის პირველი ადგილი **ლუკა სანაია** დაიკავა.

ქალაქმა ლანჩხუთმა ჭადრაკში საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა.

გურიას მოჭადრაკეები ხუთი ქვეყნიდან ესტუმრნენ, მონაწილეთა რაოდენობა 270 მოჭადრაკეს შეადგენდა.

ხობელმა მარიამ ლაგვილავამ გვასახელა და 16 წ. გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა.

მარიამმა თასი და ფულადი ჯილდოც დაიმსახურა.

რედაქტორი–ბეჭან ნადარაია. ტელ: 579-72-61-72

სარედაქციო კოლეგია:

მერი ლაგვილავა–პასუხისმგებელი მდივანი, ნანი კილასონია–ჟურნალისტი, გოგიტა ჩიტაია, გოგი ბუკია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ნინა ბუკია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში (**დირექტორი კობა კობახიძე**). ტელ: 577 60-22-21.

ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.